სსიპ-იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ქ. თელავი, ქართული უნივერსიტეტის ქუჩა №1,

ტელ.: 0350 272 401, ელ. ფოსტა: info@tesau.edu.ge

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი

სადისერტაციო საბჭოს დებულება

დებულება შემუშავებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა (ოქმი № 10. 13.06.2017) ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე (ოქმი № 6 13.06.2017)

დებულება დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი №19 25.07.2017)

ცვლილებები შემუშავებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა (ოქმი № 1. 28.02.2018) ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე (ოქმი № 7 . 19.03.2018)
ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი №15 23.03.2018)

ცვლილებები შემუშავებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოსა (ოქმი № 1. 01.04.2020) ფაკულტეტის საბჭოს სხდომებზე (ოქმი № 3 . 01.04.2020)

ცვლილებები დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს სხდომაზე (ოქმი №6 07.04.2020)

უნივერსიტეტის აკადემიური
საბჭოს თავმჯდომარე /ირმა შიოშვილი/

თელავი

2017

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. სადისერტაციო საბჭოს მისია, დოქტორანტურის მიზნები, აკადემიური ხარისხის მინიჭების პირობები და კრიტერიუმები:

1. სადისერტაციო საბჭო იქმნება სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში უნივერსიტეტი) არსებულ სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტებზე, როგორც დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი და სადოქტორო სწავლებასთან დაკავშირებული საკითხების მაკოორდინერებელი ორგანო.

(აკადემიური საბჭოს 2020 წლის 07 აპრილი № 6 ოქმი)

2. დოქტორანტურა უმაღლესი განათლების მესამე საფეხურია, სასწავლო პროგრამების და სამეცნიერო კვლევების ერთობლიობა, რომლის ძირითადი მიზნებია მეცნიერთა ახალი თაობის მომზადება, დოქტორანტთა ინტეგრაცია საერთაშორისო სამეცნიერო საზოგადოებაში, უნივერსიტეტის სასწავლო და კვლევითი პოტენციალის განვითარება, გაფართოება და მთავრდება დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებით.

3. დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭებას (ფაკულტეტზე არსებული მეცნიერების შესაბამის მიმართულებაში / დარგში/ სპეციალობაში) ახორციელებს უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის სადისერტაციო საბჭო.

4. დოქტორანტურის დასრულებისა და დისერტაციის დაცვის შემთხვევაში დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიურ ხარისხი მეცნიერების შესაბამის მიმართულებაში/ დარგში/ სპეციალობაში თუ:

ა) განახორციელა ორიგინალური კვლევა და მოამზადა სადოქტორო დისერტაცია, რომელიც შეიცავს თეორიული ან/და ექსპერიმენტული კვლევის დასაბუთებულ შედეგებს და წვლილი შეაქვს მეცნიერების განვითარებაში;

ბ) კვლევის შედეგები გამოქვეყნებული აქვს ეროვნულ და საერთაშორისო რეცენზირებად / რეფერირებად / იმპაქტ ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში, სამეცნიერო კონფერენციების მასალებში ან სხვა სამეცნიერო გამოცემებში; (პროგრამით გათვალისწინებული რაოდენობების მიხედვით);

გ) შეუძლია კოლეგებთან და სამეცნიერო საზოგადოებასთან ადეკვატურ დონეზე კომუნიკაცია საკვლევ მეცნიერულ სფეროში;

დ) წარმატებით დაიცვა დისერტაცია;

ე) შესრულებული აქვს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისიწინებული ყველა სავალდებულო მოთხოვნა

(აკადემიური საბჭოს 2020 წლის 07 აპრილი № 6 ოქმი)

5. დოქტორანტურის ფარგლებში განხორციელებული კვლევითი პროდუქტები უნივერსიტეტის მიერ განსაზღვრული სამეცნიერო-კვლევითი სტრატეგიის ნაწილია.

თავი II. დოქტორანტურაში მიღების წესები

მუხლი 2. ჩარიცხვის წინაპირობები

1. დოქტორანტურაში სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის (ან დიპლომის) მქონე პირს, მათ შორის უცხოეთის უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების კურსდამთავრებულს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

2. დოქტორანტურაში სწავლის მსურველმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

ა) განაცხადი უნივერსიტეტის რექტორის სახელზე იმ პროგრამის მითითებით, რომელზეც სურს მას დოქტორანტურაში სწავლა.

ბ) მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის (ან დიპლომის) ფლობის დამადასტურებელი საბუთი (დიპლომის დამოწმებული ასლი);

გ) სამხედრო მიწერის მოწმობა ან სამხედრო ბილეთი (ვაჟებისთვის);

დ) პირადობის მოწმობის ასლი;

ე) ავტობიოგრაფია – "CV";

ვ) ორი ფოტოსურათი (3 X 4);

ზ) სამოტივაციო წერილი;

თ) უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მომსახურების საფასურის გადახდის დამადასტურებელი ქვითარი.

3. ჩარიცხვა ხდება სპეციალობაში მისაღები გამოცდის /გასაუბრების საფუძველზე (სპეციალობაში და უცხო ენაში) უნივერსიტეტის ორგანიზებით, თანაბარი შედეგების შემთხვევაში დამატებით გათვალისწინებული იქნება: სამაგისტრო ნაშრომის (ან სახელმწიფო – საკვალიფიკაციო გამოცდების) შეფასება, გამოქვეყნებული შრომები, სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობა. პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე შეიძლება იყოს სხვა (აღნიშნული პირობის დეტალები და მისაღები გამოცდის შეფასების წესი სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით) პირობები.

4. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება პროგრამის მიხედვით ერთ-ერთი უცხო ენის (ინგლისური/ გერმანული/ ფრანგული/ რუსული) არანაკლებ B2 დონეზე ცოდნა.

დოქტორანტობის კანდიდატი თავისუფლდება უცხო ენის გამოცდიდან:

არანაკლებ B2 დონეზე ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარმოდგენის შემთხვევაში:

ა) ინგლისური ენის მიმართულებით:

TOEFL Paper	TOEFL CBT	TOEFL IBT	IELTS	FCE	CERTUS
513 - 547	183 - 210	65 - 78	5.5 – 6.5	161 -180	72 -88,25

(აკადემიური საბჭოს 2020 წლის 07 აპრილი № 6 ოქმი)

ბ)რუსული ენის მიმართულებით - ТРКИ-2;

გ) გერმანული ენის მიმართულებით: Goethe-Zertifikat B2; (მაქსიმალური ქულა-100 (აქედან კითხვა-25 ქ.; მოსმენა-25 ქ., წერა-25 ქ., საუბარი-25 ქ.) სერტიფიკატის მიღების აუცილებელი პირობაა თითოეულ კომპონენტში ქულების 60 %-ის დაგროვება;

დ) ფრანგულის ენის მიმართულებით (DELF - ფრანგული ენის ცოდნის დამადასტურებელი დიპლომი, სადაც შეფასების 100 ქულიანი სისტემიდან 50 ქულა ა განსაზღვრული დიპლომის მისაღებად. 4 აქტივობიდან, რომელთაგან თითოეული აქტივობა ფასდება 25 ქულით, თითოეულში მიღებული უნდა ჰქონდეს 5 ქულა მაინც);

ე) უმაღლესი განათლების სწავლის ერთ-ერთი საფეხურის უცხოეთში გავლა შესაბამის უცხოენოვან პროგრამაზე (კვალიფიკაციის მინიჭებით) ;

ვ) კანონმდებლობის თანახმად საქართველოს უსდ-ს მიერ გაცემული დიპლომის ან კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა შესაბამის უცხო ენაში.

5. დოქტორანტურაში სწავლის უფლებით შეიძლება ისარგებლოს უცხოეთის უნივერსიტეტის კურსდამთავრებულმა "უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 50-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად.

6. დოქტორანტურაში შემომსვლელს, რომელსაც ქართულ ენაზე არ აქვს მიღებული განათლება და ქართულენოვან სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სურს სწავლის გაგრძელება, მოეთხოვება ქართული ენის შესაბამისი დონის დამადასტურებელი სერტიფიკატის წარმოდგენა ან, მისი არქონის შემთხვევაში, ქართული ენაში გამოცდის ჩაბარება.

7. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში სადისერტაციო საბჭოს შეუძლია ჩააბას/ მოიწვიოს სხვა სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებები უნივერსიტეტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულების / მემორანდუმის საფუძველზე.

8. უნივერსიტეტის რექტორი დოქტორანტთან და სამეცნიერო ხელმძღვანელთან აფორმებს ცალ-ცალკე ხელშეკრულებებას.

9. სტუდენტს (დოქტორანტს) უფლება აქვს ისარგებლოს მობილობის წესით, გადავიდეს და გადაიტანოს ნებისმიერ ადგილას თავისი დაფინანსება (როგორც სახელმწიფო, ისე კერძო), აგრეთვე აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამა კანონის შესაბამისად.

10. დოქტორანტურაში ჩარიცხვის შესახებ ინდივიდუალურ სამართლებრივ აქტს გამოსცემს უნივერსიტეტის რექტორი დეკანის წარდგინების საფუძველზე.

11. დოქტორანტთა სწავლის საფასური განისაზღვრება უნივერსიტეტში მოქმედი წესის თანახმად.

12. მისაღები კონტინგენტი განისაზღვრება დეკანის წარდგინების საფუძველზე გამოცემული რექტორის ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტით;

მუხლი 3. დოქტორანტურის აკადემიური შინაარსი

1. დოქტორანტურის პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი (სემესტრის დაწყება-დამთავრების ვადები განისაზღვრება აკადემიური კალენდრის მიხედვით).

დოქტორანტურაში სწავლის საფასურის გადახდა რეგულირდება- სტუდენტთა სწავლის საფასურის გადახდის წესის შესახებ დებულებით

(აკადემიური საბჭოს 2020 წლის 07 აპრილი № 6 ოქმი)

2. დოქტორანტს უნივერსიტეტის რექტორის ბრძანების საფუძველზე შეიძლება გაუგრძელდეს სწავლის ვადა მაქსიმუმ 4 სემესტრით .

დოქტორანტურაში სწავლების ერთადერთი ფორმაა დასწრებული

3. სწავლების ენაა ქართული. უცხო ენაზე სწავლების უფლება შეიძლება მიეცეს დოქტორანტს საერთაშორისო ხელშეკრულების/ პროექტის ფარგლებში ან აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით მხოლოდ ცალკეულ კომპონენტებზე / სასწავლო კურსებზე. უცხოენოვანი პროგრამის არსებობის შემთხვევაში სწავლება დასაშვებია პროგრამით გათვალისწინებულ უცხო ენაზე.

4. დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტმა უნდა განახორციელოს დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევა, რომელიც შეიცავს ღირებულ სიახლეს მოცემულ სამეცნიერო დარგში;

5. დოქტორანტს მისი სასწავლო გეგმის ფარგლებში შეუძლია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო-სამეცნიერო სემინარებში;

6. დოქტორანტურაში სწავლის განმავლობაში დოქტორანტმა უნდა დააგროვოს პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კომპონენტის მაქსიმუმ 60 კრედიტი (მ.შ. ყველა სავალდებულო) და ხანგრძლივობაა არანაკლებ 3 წელი .

(აკადემიური საბჭოს 2020 წლის 07 აპრილი № 6 ოქმი)

7. **სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტებია:**

7.1.ა) სასწავლო კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოდგენილია სასწავლო კურსის, მოდულის, პრაქტიკის, შემოქმედებითი/ პრაქტიკული სახის პროექტის, ან სხვა კომპონენტის სახით;

ბ) დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტის კრედიტების ჯამური რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 კრედიტს. სასწავლო კომპონენტები განსაზღვრულია კონკრეტული სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით. **სასწავლო კომპონენტი შეიძლება მოიცავდეს სწავლას;**

გ) დოქტორანტს მოეთხოვება შემოთავაზებული კურსების (სავალდებულო და არჩევითი კურსები) გავლა. აუცილებელია, ყველა სავალდებულო საგანში ჰქონდეს

მინიჭებული კრედიტი. აღნიშნული კურსები დოქტორანტს აძლევს ფუნდამენტურ ცოდნას არჩეულ სფეროში კვლევების საწარმოებლად. სასწავლო კომპონენტი ფასდება პროგრამით გათვალისწინებული კურსების შესაბამის სილაბუსებში გაწერილი შეფასების კრიტერიუმების მიხედვით;

დ) პროფესორის ასისტირებას: დოქტორანტურაში სწავლის პერიოდში დოქტორანტი ვალდებულია ასისტირება გაუწიოს აკადემიურ პერსონალს და მონაწილეობა მიიღოს უნივერსიტეტის სასწავლო პროცესში. პროფესორის ასისტირება გულისხმობს შემდეგს: სამუშაო ჯგუფში პრაქტიკულების ჩატარებას ბაკალავრიატისა და მაგისტრატურის სტუდენტებისათვის; შუალედური და საბოლოო გამოცდის საკითხების და/ან ტესტების მომზადებას; სტუდენტთა ნაშრომების გასწორებას (შესაძლებელია საბაკალავრო და სამაგისტრო ნაშრომების რეცენზირება, საბაკალავრო ნაშრომების ხელმძღვანელობა, საგნის სილაბუსის მომზადება და სხვ).

7.2. სამეცნიერო-კვლევითი/კვლევითი კომპონენტი დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის შემადგენელი ნაწილია, რომელიც წარმოდგენილია დისერტაციის ან შემოქმედებითი/ საშემსრულებლო ნამუშევრის ან სხვა სამეცნიერო პროექტის/ ნაშრომის/აქტივობის სახით;

8. **კვევითი კომპონენტი (დისერტაციის შესრულება და დაცვა)** უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლების მესამე საფეხურის დამამთავრებელი ეტაპია და მისი მიზანია სპეციალობაში მიღებული თეორიული და პრაქტიკული ცოდნის სისტემატიზაცია და კონკრეტული სამეცნიერო ამოცანის/ების დასაბუთებული გადაწყვეტა. დისერტაციამ უნდა გამოავლინოს დასმულ საკითხებთან დაკავშირებული კვლევის მეთოდებისა და ექსპერიმენტების დაგეგმვისა და განხორციელების ფლობის დონე და მომავალი პროფესიული საქმიანობის პირობებში დოქტორანტის მზადყოფნა დამოუკიდებელი მუშაობისთვის. ნაშრომის შესრულებას ხელმძღვანელობს გამოცდილი პროფესორი.

დისერტაცია უნდა ასახავდეს თეორიული და/ან ექსპერიმენტული (ემპირიული) კვლევის მეცნიერულად დასაბუთებულ ახალ შედეგებს, რომელსაც წვლილი შეაქვს დარგის განვითარებაში და უნდა ქმნიდეს ახალი ცოდნის მიღების საშუალებას, სრულად უნდა პასუხობდეს დარგის უახლეს გამოწვევებს.

დისერტაციის დაცვაზე დაშვება ხდება პროგრამით გათვალისიწინებული მინიმალური სტანდარტის შესრულების შემდეგ, რომელიც გაწერილია კონკრეტული სადოქტორო

საგანმანათლებლო პროგრამაში. დისერტაციის მომზადების, გაფორმების, წარდგენის და შეფასების წესი განსაზღვრულია (მუხლი 10, მუხლი 11 , მუხლი 16.)

(აკადემიური საბჭოს 2020 წლის 07 აპრილი № 6 ოქმი)

მუხლი 4. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

1. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი /ხელმძღვანელები შეიძლება იყოს უნივერსიტეტის შესაბამისი დარგის პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ან სხვა უმაღლესი სასწავლებლიდან მოწვეული დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სამეცნიერო ხელმძღვანელს უნდა ჰქონდეს მეცნიერების მოცემულ დარგში სამეცნიერო კვლევის გამოცდილება. დოქტორანტს უფლება აქვს სადისერტაციო საბჭოსთან შეთანხმებით აირჩიოს ხელმძღვანელი სამეცნიერო-კვლევითი დაწესებულებიდანაც.
2. დოქტორანტის მიერ შერჩეული პროფესორი იღებს გადაწყვეტილებას და წერილობით ადასტურებს, რომ თანახმაა იყოს მისი სამეცნიერო ხელმძღვანელი;
3. თუ შერჩეული პირი - პროფესორი თანხმობას განაცხადებს დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელობაზე, დოქტორანტი და პროფესორი თანხმდებიან თემის დასრულების ვადებზე და ხელმძღვანელობის ფორმაზე;

4) დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ფუნქციები:

ა) დოქტორანტს ეხმარება თემის შერჩევასა და ინდივიდუალური კვლევითი გეგმის შემუშავებაში;

ბ) დოქტორანტთან უზრუნველყოფს რეგულარული შეხვედრა-კონსულტაციებს როგორც პირისპირ, ისე ონლაინ რეჟიმში;

გ) ორგანიზებას უწევს კვლევითი კომპონენის თანმიმდევრულ შესრულებას;

დ) დოქტორანტს ეხმარება სამეცნიერო ლიტერატურისა და სამეცნიერო ბაზების მოძიებაში;

ე) დოქტორანტს ეხმარება სამეცნიერო ჟურნალებისა და გამოცემების მოძიებასა და სამეცნიერო ნაშრომების გამოქვეყნებაში.

(აკადემიური საბჭოს 2018 წლის 23 მარტის №15 ოქმი)

თავი III. სადისერტაციო საბჭო

მუხლი 5. სადისერტაციო საბჭოს სტრუქტურა

1. სადისერტაციო საბჭო არის დოქტორის აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო. იგი შედგება უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ყველა პროფესორის და ასოცირებული პროფესორისაგან. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში ამავე საბჭოს გადაწყვეტილებით შედიან (შეიძლება შევიდნენ) დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირებიც.

2. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს სადისერტაციო საბჭო 4 წლის ვადით, სიითი შემადგენლობის უმრავლესობით. სადისერტაციო საბჭოს მდივანს თავისი შემადგენლობიდან ამტკიცებს სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის წარდგინებით 4 წლის ვადით.
3. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შეიძლება არჩეულ იქნას ზედიზედ მხოლოდ ორი ვადით.
4. სადისერტაციო საბჭოს შემადგენლობაში ცვლილებების შეტანის საფუძველია საბჭოს წევრის უპასუხისმგებლობა, საბჭოს სხდომების ხშირი გაცდენები, აგრეთვე აკადემიური თანამდებობის დაკავება/დაკარგვა ან ისეთი ვითარება, როდესაც საბჭოს წევრს არ შეუძლია თავისი მოვალეობის შესრულება.

მუხლი 6. სადისერტაციო საბჭოს სხდომები და ფუნქციები

13. სადისერტაციო საბჭო გადაწყვეტილებებს იღებს საბჭოს სხდომებზე. სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება წევრთა სიითი შემადგენლობის 2/3. გადაწყვეტილება მიღებულია, თუ მას ხმას მისცემს დამსწრეთა უმრავლესობა.
14. საბჭოს მიერ მიღებული ნებისმიერი გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით, რომელსაც ხელს აწერენ საბჭოს თავმჯდომარე და მდივანი.
სადისერტაციო საბჭოს მიერ წარმოებული ყველა ოფიციალური დოკუმენტი მოწმდება ფაკულტეტის ბეჭდით.
15. სადისერტაციო საბჭო განსაზღვრავს სადისერტაციო თემის მოცულობას,

ფორმატს, შრიფტის ზომასა და სხვა ტექნიკურ მონაცემებს.

16. სადისერტაციო საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დოქტორანტისათვის სამეცნიერო ხელმძღვანელისა და თემის დამტკიცების შესახებ.

17. საბჭო უფლებამოსილია შეიკრიბოს საბჭოს წევრთა 2/3 -ის მოთხოვნით;

მუხლი 7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის უფლებამოსილება

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე იწვევს საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ, დაცვისათვის დასამტკიცებლად წარადგენს კონკრეტულ დარგობრივ კოლეგიის/სადისერტაციო კოლეგიის შემადგენლობას (რომელიც შეიძლება შეივრიბოს თვეში არა უმეტეს ორჯერ).

2. საბჭოს თავმჯდომარე დასამტკიცებლად წარადგენს შემფასებლის (რეცენზენტის) დანიშვნის საკითხს, ასევე დისერტაციის დაცვის თარიღს. სასურველია დოქტორანტს დაენიშნოს ორი შემფასებლი (რეცენზენტი), აუცილებელია ერთი იყოს სხვა უმაღლესი საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან სხვა დაწესებულებიდან და ა. შ.

3. შემფასებლი (რეცენზენტი) არ შეიძლება იყოს:

ა) დოქტორანტის მიერ შესრულებული რომელიმე სამეცნიერო ნაშრომის თანაავტორი;

ბ) იმ სამეცნიერო ჯგუფის წევრი, რომლის მონაწილეობითაც შესრულდა დისერტაცია ან იმ სტრუქტურული ერთეულის წევრი, სადაც მუშაობს ;

გ) დოქტორანტზე თანამდებობრივად დამოკიდებული პირი.

4. საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით სადისერტაციო საბჭო ნიშნავს დარგობრივ კოლეგიას /სადისერტაციო კოლეგიას.

5. საბჭოს თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს, ფაკულტეტის საბჭოსა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წინაშე.

6. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე ვალდებულია წელიწადში ერთხელ ანგარიშით წარდგეს სადისერტაციო საბჭოს წინაშე გაწეული საქმიანობისა და მომდევნო ღონისძიებების შესახებ.

7. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სხდომაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში, სადისერტაციო საბჭო თავმჯდომარის მოვალეობის შესრულებას ავალებს საბჭოს ერთ-ერთ წევრს.

მუხლი 8. სადისერტაციო საბჭოს მდივანი

1. სადისერტაციო საბჭოს მდივანი უზრუნველყოფს საბჭოს ორგანიზაციულ საქმიანობას. იგი აწარმოებს დოქტორანტის სადისერტაციო დოკუმენტაციას ყველა საჭიროების გათვალისწინებით და საჭიროებისამებრ ათავსებს მას უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.
2. სადისერტაციო საბჭოს მდივანი აირჩევა 4 წლის ვადით სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით.

თავი IV. სადისერტაციო საქმის წარმოება

მუხლი 9. დისერტაცია

1. დისერტაცია უნდა წარმოადგენდეს დოქტორანტის დამოუკიდებელი სამეცნიერო მუშაობის შედეგს, ახასიათებდეს სიახლე და წვლილი შეჰქონდეს შესაბამისი სამეცნიერო დარგის განვითარებაში.

2. დისერტაცია უნდა შესრულდეს ქართულ ენაზე. უცხოენოვანი პროგრამის შემთხვევაში პროგრამით გათვალისწინებულ უცხო ენაზე.

მუხლი 10. დისერტაციის გაფორმება

1. დისერტაცია ქართულ ენაზე უნდა გაფორმდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიერ დადგენილი ფორმისა და მოთხოვნების დაცვით.

2. თუ დოქტორანტი ჩართულია სამეცნიერო–კვლევით ჯგუფში, მაშინ დისერტაციაში უნდა გამოიკვეთოს მისი წილი შესრულებულ სამუშაოში.
3. დისერტაციის სატიტულო ფურცელი უნდა გაფორმდეს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნის შესაბამისად, სარეკომენდაციო ფორმები თან ერთვის დებულებას. (იხ. დანართი).
4. დისერტაიის ზღვრული მოცულობა უნდა შეადგენდეს 130– 180 (300000-400000 ასო-ნიშანი) გვერდს დანართისა და ციტირებული ლიტერატურის გარეშე (დანართის მოცულობა არ იზღუდება), ფურცლის ზომა – A4, შრიფტის სახეობა - Sylfaen,

ინგლისური ტექსტი უნდა შესრულდეს Times New Roman შრიფტით. შრიფტის ზომა - 12, თავებისა და ქვეთავების დასახელების შრიფტის ზომა შესაბამისად უნდა იყოს 16 და 14 სტრიქონებს შორის მანძილი - 1,5; გვერდის საზღვრები: ზემოდან და ქვემოდან - 2,5 სმ; მარცხნიდან - 3სმ; მარჯვნიდან - 1,5 სმ.

5. დისერტაციის ყოველი თავი უნდა დაიწყოს ახალი ფურცლიდან, ქვეთავი უნდა გაგრძელდეს იმავე გვერდიდან; დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება.
6. გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი, გარდა სატიტულო ფურცლისა, უნდა დაინომროს თანამიმდევრობით. გვერდები ინომრება ქვედა კიდეზე ცენტრში, არაბული ციფრებით.
7. ნაშრომს უნდა ახლდეს წყაროებისა და გამოყენებული ლიტერატურის სია. ლიტერატურის დანომვრა უმჯობესია ანბანის მიხედვით ან გამოყენების თანამიმდევრობის შესაბამისად.
8. დისერტაციას, რომელ ენაზეც არ უნდა იყოს შესრულებული, დასაწყისში უნდა ახლდეს ანოტაცია ქართულ და ინგლისურ ენებზე მაქსიმუმ 5 გვრერდი (ანოტაციის მოცულობა არ ჩაითვლება დისერტაციის გვერდების რაოდენობაში);
9. დაცვის შემდეგ, სასურველია დისერტაციის გამოქვეყნება ბეჭდური მონოგრაფიის სახით, რომელიც განთავსდება საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში. აუცილებელია დისერტაციის ელექტრონული ვერსიის განთავსება **უნივერსიტეტის ვებ გვერდზე.**
10. დაცული დისერტაციის ბეჭდური ვერსია უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მუხლი 11. დისერტაციის წარდგენა

1. დისერტაცია სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა 3 აკინძულ და 1 ელექტრონულ ეგზემპლარად უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე განსათავსებლად. სადისერტაციო საბჭოს გადაეცემა აგრეთვე ავტორეფერატის ელექტრონული ვერსია ქართულ და უცხო (ინგლისურ, გერმანულ, ფრანგულ ან რუსულ) ენებზე (დაცვაზე დაშვების ნებართვის შემდეგ) ვებ-გვერდზე განსათავსებლად.
2. დისერტაციას თან ერთვის განმცხადებლის ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ

თემა მის მიერ არის შესრულებული, და რომ ნაშრომში გამოყენებული ყველა წყარო სათანადოდ არის მითითებული.

3. დოქტორანტმა უნდა წარმოადგინოს ინფორმაცია პროგრამით განსაზღვრული სასწავლო კომპონენტების მინიჭებული კრედიტების შესახებ და მინიმალური სტანდარტის შესაბამისად დისერტაციის თემის ირგვლივ გამოქვეყნებული არანაკლებ ორი სამეცნიერო ნაშრომის (თეზისების, სტატიების ან სხვა) სია, რომელთაგან ერთი მაინც გამოქვეყნებული უნდა იყოს საერთაშორისო რეცენზირებად ან/და რეფერირებად სამეცნიერო ჟურნალში ან საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციის მასალებში, ანდა უცხოეთის გამოცემებში. დამატებითი პირობები შესაძლებელია განისაზღვროს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით.

4. სამეცნიერო ხელმძღვანელ(ებ)ის დასკვნა იმის თაობაზე, რომ ნაშრომი დასრულებულია და შეიძლება მისი საჯარო განხილვა.

5. დისერტაციის პლაგიატზე შემოწმების შედეგების შესახებ ხელმღვანელის დასკვნა.

(აკადემიური საბჭოს 2020 წლის 07 აპრილი № 6 ოქმი)

მუხლი 12. წერილობითი დასკვნა დისერტაციის შესახებ

1. დისერტაციის წარდგენის შემდეგ წერილობით დასკვნას ადგენს ორი შემფასებელი (რეცენზენტი).

2. შემფასებლებმა (რეცენზენტმა) თავიანთი წერილობითი დასკვნა უნდა წარმოადგინონ გადაცემიდან მაქსიმუმ 1 თვეში.

3. დასკვნაში მითითებული უნდა იყოს გადაწყვეტილება დისერტაციის დაცვაზე დაშვების ან დაცვაზე უარის თქმის შესახებ.

4. იმ შემთხვევაში, თუ წერილობითი დასკვნები განსხვავდება ერთმანეთისაგან, ინიშნება მესამე შემფასაბელი (რეცენზენტი) სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. მესამე შემფასებელს (რეცენზენტს) თემის დასკვნისთვის ეძლევა 1 თვე.

5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარემ დოქტორანტს წერილობით უნდა აცნობოს შემფასებლის (რეცენზენტის) მიერ მიღებული გადაწყვეტილების შესახებ. დაცვაზე დაშვების შემთხვევაში შეტყობინებაში მითითებული უნდა იყოს დაცვის თარიღი. შეტყობინებიდან დაცვის თარიღამდე დოქტორანტს უნდა მიეცეს მინიმუმ 1 თვე დაცვისათვის

მოსამზადებლად. დოქტორანტს ეძლევა უფლება გაეცნოს შემფასებლის (რეცენზენტის) დასკვნებს.

6. სადისერტაციო ნაშრომის დაცვაზე არდაშვების შემთხვევაში, სადისერტაციო ნაშრომი და შემფასებლების (რეცენზენტის) წერილობითი დასკვნები შეინახება სადისერტაციო საბჭოს დოკუმენტაციაში. დოქტორანტი უფლებამოსილია გაეცნოს ამ დოკუმენტებს.

მუხლი 13. ავტორეფერატი

1.ავტორეფერატი უნდა შეიცავდეს სატიტულო ფურცელს. ავტორეფერატში მოცემული უნდა იყოს: საკვლევი თემის აქტუალურობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; მითითებული უნდა იყოს დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა; გადმოცემული უნდა იყოს დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით; აგრეთვე, რეკომენდაციები და ზოგადი დასკვნები;

2.ავტორეფერატში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტორის მიერ გამოქვეყნებული იმ ნაშრომების და კვლევების ჩამონათვალი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია დისერტაციის თემატიკასთან და ასახულია სადისერტაციო ნაშრომში;

3.ავტორეფერატში უნდა იყოს ინფორმაცია ნაშრომის სხვადასხვა დონეზე წარდგინების (კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე და სხვ.) შესახებ;

4. ავტორეფერატი უნდა შესრულდეს დადგენილი ფორმის მიხედვით **(დანართი 3)**.

მუხლი 14. სადისერტაციო კოლეგია

1. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებით დოქტორანტის დისერტაციის დაცვაზე დაშვების შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო ერთჯერადად ქმნის სადისერტაციო კოლეგიას თემიდან გამომდინარე.

2. სადისერტაციო კოლეგია უნდა შედგებოდეს მეცნიერების იმ დარგის სულ მცირე **სამი** წევრისაგან, რომელშიც შესრულებულია დისერტაცია.

3. კოლეგიაში დამატებით უნდა შედიოდნენ დისერტაციის ხელმძღვანელი და თემის

შემფასებლები (რეცენზენტები). სადისერტაციო კოლეგიაში შეიძლება შეყვანილ იქნენ დოქტორის აკადემიური ხარისხის მქონე სხვა პირებიც თემის სპეციფიკის გათვალისწინებით.

4. კოლეგიის თავმჯდომარე და მდივანი მტკიცდება სადისერტაციო საბჭოზე.

5. სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე შეიძლება იყოს სადისერტაციო კოლეგიის თავმჯდომარეც.

6. თუ სადისერტაციო ნაშრომი მომზადებულია მეცნიერების იმ დარგში, რომლის წარმომადგენელიც არის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე, იგი უფლებამოსილია მიიღოს დოქტორანტის შეფასებაში მონაწილეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში იგი მხოლოდ წარმართავს კოლეგიის მუშაობის პროცედურულ ნაწილს.

7. სადისერტაციო კოლეგია სადისერტაციო ნაშრომის შეფასების შემდეგ ადგენს ოქმს და შეფასების უწყისთან ერთად უგზავნის სადისერტაციო საბჭოს/ფაკულტეტის დეკანს/ფაკულტეტის საბჭოს.

მუხლი 15. დაცვა

1. დაცვა არის საჯარო, მის მსვლელობასა და შედეგებზე უნდა შედგეს საბოლოო ოქმი. დაცვა ითვალისწინებს დოქტორანტის მიერ მაქსიმუმ 30 წუთამდე მოხსენებით თემის წარმოდგენა-პრეზენტაციას.

2. მოხსენებას მოსდევს სამეცნიერო პაექრობა. დაცვა არ უნდა აღემატებოდეს 120 წუთს.

3. ერთი კოლეგიის წინაშე ერთ დღეს შეიძლება დაინიშნოს არა უმეტეს ორი დისერტაციის დაცვა.

4. სადისერტაციო ნაშრომის დაცვის ენა არის ქართული. უცხოენოვანი პროგრამის არსებობის შემთხვევაში შესაბამისი უცხო ენა.

მუხლი 16. შეფასება

1. დისერტაციის საჯარო დაცვაზე დაშვება ხდება შემფასებელთა (რეცენზენტთა)წინასწარი დადებითი დასკვნების საფუძველზე.

2. დისერტაცია ფასდება სადისერტაციო კოლეგიის მიერ დახურულ

სხდომაზე პროგრამაში გაწერილი დაცვის შეფასების კრიტერიუმების მიხედვით დაცვის დასრულებისთანავე.

3. **დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი/ კომპონენტების შეფასების სისტემა:**

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება;

დ) საშუალო (bene) – საშუალო დონის ნაშრომი, რომელიც წაყენებულ ძირითად მოთხოვნებს აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficient) – არადამაკმაყოფილებელი დონის ნაშრომი, რომელიც ვერ აკმაყოფილებს წაყენებულ მოთხოვნებს მასში არსებული მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის, „ვ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტს უფლება ეძლევა ერთი წლის განმავლობაში წარადგინოს გადამუშავებული სადისერტაციო ნაშრომი, ხოლო „ზ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში დოქტორანტი კარგავს იგივე სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის უფლებას.

შენიშვნა: სადისერტაციო საბჭომ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან ერთად შეიძლება განსაზღვროს თემიდან გამომდინარე შეფასების ინდიკატორები.

5. დისერტაცია ითვლება დაცულად, თუ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის მიხედვით მიიღო დადებითი შეფასება.

6. დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელის ან ერთი შემფასებლის (რეცენზენტის) დაცვაზე დაუსწრებლობის შემთხვევაში გათვალისწინებული უნდა იქნეს მისი წერილობითი შეფასება კოლეგიის მდივანის მიერ საჯაროდ წაკითხული.

7. შეფასება ფორმდება შესაბამისი ოქმით, ხოლო კოლეგიის თავმჯდომარე კოლეგიის დასაბუთებულ გადაწყვეტილებას დოქტორანტს აცნობს ზეპირად.

8. თუ დისერტაცია არ იქნა დაცული (დოქტორანტის არ გამოცხადების შემთხვევაში ან კვორუმის არ არსებობის შემთხვევაში), დაცვის გამეორება შესაძლებელია მომდევნო 6 თვის განმავლობაში. დოქტორანტის განცხადება განმეორებით დაცვის მოთხოვნის შესახებ კოლეგიას უნდა წარედგინოს შედეგის გამოცხადებიდან 1 თვის განმავლობაში.

მუხლი 17. დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი

1. სადისერტაციო საბჭოს მიერ დოქტორის აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ პირი უფლებამისილია იწოდებოდეს შესაბამისი სამეცნიერო მიმართულების/დარგის/ სპეციალობის დოქტორად.
2. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულზე გაიცემა დიპლომი საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის თანახმად დამტკიცებული დიპლომის ფორმის შესაბამისად.

მუხლი 18. დოქტორანტურის სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის და აკადემიური ხარისხის ბათილად ცნობის პირობები

1. ინდივიდუალური გეგმის შეუსრულებლობის შემთხვევაში.
2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლობისას ან სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის რეგულაციებით გათვალისწინებული სხვა მოთხოვნების შეუსრულებლობის შემთხვევაში სადისერტაციო საბჭო მსჯელობს სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის/დოქტორის აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის/კვალიფიკაციის არგაცემის ან ჩამორთმევის შესახებ და მიმართავს რექტორს შესაბამისი გადაწყვეტილებით.
3. სადისერტაციო საქმის წარმოებისას არასწორი მონაცემების წარდგენა და/ან დისერტაციაში პლაგიატის გამოვლენა არის დოქტორის აკადემიური ხარისხის

დამადასტურებელი დიპლომის არგაცემის ან ჩამორთმევის საფუძველი. შესაბამის გადაწყვეტილებას იღებს სადისერტაციო საბჭო.

თავი V. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

მუხლი 19. დებულებაში ცვლილებების შეტანის წესი

1. დებულებაში შესატან ცვლილებებს შეიმუშავებს ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭო და ფაკულტეტის საბჭო.
2. დებულებაში შესატან ცვლილებებს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო ფაკულტეტის საბჭოს (დეკანის) წარდგინებით.

თავი VI

დასკვნითი დებულებები

მუხლი 20. დებულების ამოქმედებასთან დაკავშირებით

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს ,,სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს (დოქტორანტურის) დებულება“ უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ 2015წლის ,, 5 თებერვლის “ №13 ოქმით დამტკიცებული.
2. 2017 წლის სექტემბრამდე დოქტორანტის მიერ შესრულებული ავტორეფერატისა და სადისერტაციო ნაშრომის პარამეტრები /ტექნიკური მახასიათებლები/ ვადები/ პირობები გარდა, შეფასებათა სისტემისა შესაძლებელია დაცული იქნას ძველი წესის თანახმად.

მუხლი 21. დებულების ამოქმედება

1. სადისერტაციო საბჭოს დებულება ძალაში შედის დამტკიცებისთანავე.

დანართი # 1:

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დოქტორანტის სახელი, გვარი

დისერტაციის დასახელება

დ ი ს ე რ ტ ა ც ი ა

წარმოდგენილია ..... დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

სამეცნიერო ხელმძღვანელი (ხელმძღვანელები):

ხელმძღვანელის (ხელმძღვანელების) სახელი გვარი

სამეცნიერო ხარისხი, წოდება

თელავი

20. . წ.

დანართი 2

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო

უნივერსიტეტი

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის

სადისერტაციო საბჭო

ავტორეფერატის მომზადების

მოთხოვნები,

..... დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

თელავი 201..

ავტორეფერატის კომპიუტერზე მომზადებისა და მისი სტამბური ბეჭდვის მოთხოვნები

1. საგამომცემლო მოთხოვნები:

ავტორეფერატი უნდა იყოს სტამბური წესით დაბეჭდილი A5 ფორმატის მქონე ბროშურის სახით, მაღალი ხარისხის ქაღალდზე. ტექსტი უნდა იყოს მკაფიო, რედაქტირებული და სტილისტურად გამართული.

ავტორეფერატის ბოლო გვერდზე მითითებული უნდა იყოს საგამომცემლო რეკვიზიტები: სტამბის დასახელება, რედაქტორი, სტილისტი.

2. შესრულების ენა:

ავტორეფერატი უნდა შესრულდეს ორ ენაზე, ქართულზე და ინგლისურზე. ქართულ–ინგლისური ტექსტების იდენტურობაზე პასუხისმგებელია დოქტორანტი. ორივე ტექსტი იბეჭდება ერთ ბროშურაში, ქართულ–ინგლისური თანამიმდევრობით.

3. მოცულობა:

ავტორეფერატის მოცულობა ორივე ენაზე არ უნდა აღემატებოდეს 40 ნაბეჭდ გვერდს.

4. ავტორეფერატის მომზადება კომპიუტერზე:

ფურცლის ზომა: ავტორეფერატის კომპიუტერული ტექსტი უნდა მომზადდეს A4 ფორმატზე, ვერტიკალური ორიენტაციით. დაუშვებელია თავისუფალი სივრცის ან გვერდის დატოვება.

მინდორი:

მარცხენა მინდორი უნდა შეადგენდეს – 38 მმ, დანარჩენი – 25 მმ.

შრიფტი:

ქართული ტექსტი უნდა შესრულდეს სტანდარტული შრიფტით – Sylfaen, შრიფტის ზომა – 12. სათაურების შრიფტის ზომა და სატიტულო ფურცლის წარწერების ზომა შეიძლება იყოს 14 ან 16. სტრიქონებს შორის ინტერვალი უნდა იყოს 1,5.

ინგლისური ტექსტი უნდა შესრულდეს Times New Roman – ით, იგივე ზომებში.

გვერდების ნუმერაცია: ყველა გვერდი, გარდა სატიტულო ფურცლისა, უნდა იქნეს დანომრილი თანამიმდევრობით. გვერდები ინომრება ქვედა კიდეზე ცენტრში, არაბული ციფრებით.

სატიტულო ფურცელი და მეორე გვერდი უნდა გაფორმდეს

დანართი 3.1-ის და **დანართი 3.2**-ის შესაბამისად.

დისერტაციის დაცვის დრო და ადგილი იწერება ხელით და დასტურდება სადისერტაციო საბჭოს მდივნის ხელმოწერით.

5. კომპიუტერზე გამობეჭდვა:

ავტორეფერატის ტექსტი უნდა დაიბეჭდოს ლაზერულ ან სხვა ანალოგიურ საბეჭდ საშუალებაზე, რომელიც უზრუნველყოფს ბეჭდვის მაღალ ხარისხს. ტექსტი უნდა გამოიბეჭდოს 80 გ/მ^2 სიმკვრივის ქაღალდის ერთ მხარეს.

6. ავტორეფერატის შინაარსი:

ავტორეფერატში ასახული უნდა იყოს: საკვლევი თემის აქტუალურობა, სამუშაოს მიზანი, კვლევის ობიექტი და მეთოდები, ნაშრომის ძირითადი შედეგები და მეცნიერული სიახლე; მითითებული უნდა იყოს დისერტაციის მოცულობა და სტრუქტურა; გადმოცემული უნდა იყოს დისერტაციის ძირითადი შედეგები თავების მიხედვით; აგრეთვე, რეკომენდაციები და ზოგადი დასკვნები;

ავტორეფერატში წარმოდგენილი უნდა იყოს ავტორის მიერ გამოქვეყნებული მხოლოდ იმ ნაშრომების და კვლევების ჩამონათვალი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია დისერტაციის თემატიკასთან და ასახულია სადისერტაციო ნაშრომში;

ავტორეფერატში უნდა იყოს ინფორმაცია ნაშრომის სხვადასხვა დონეზე წარდგინების (კონფერენციებზე, ფორუმებზე, სიმპოზიუმებზე, სემინარებზე და სხვ.) შესახებ;

7. გარდამავალი დებულება

2017 წლის დეკემბრამდე ავტორეფერატი შესაძლებელია შესრულებული იყოს ძველი წესით.

დანართი 3.1.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ხელნაწერის უფლებით

დოქტორანტის სახელი, გვარი

დისერტაციის დასახელება

.....დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად

წარდგენილი დისერტაციის

ა ვ ტ ო რ ე ფ ე რ ა ტ ი

თელავი

20. . წ.

დანართი 3.2.

სამუშაო შესრულებულია სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის ..... დეპარტამენტში

სამეცნიერო ხელმძღვანელი: _____

შემფასებლები (რეცენზენტები): _____

_____

დაცვა შედგება 20____ წლის "_____" _____, _____ საათზე სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის სადისერტაციო კოლეგიის სხდომაზე: კორპუსი _____ აუდიტორია _____

მისამართი: საქართველო, თელავი, 2200

ქართული უნივერსიტეტის ქუჩა N 1

ტელ: +995 250 27 24 01

დისერტაციის გაცნობა შეიძლება თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში და ვებ-გვერდზე : http://tesau.edu.ge

სადისერტაციო საბჭოს მდივანი _____